



Food and Agriculture Organization
of the United Nations



მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება
გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა
და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით (GCP/GEO/007/EC)

პროგრამის კოდი:

სარჩევი

1. პროგრამის დასახელება	4
1.1. შესავალი	4
1.2. პროგრამის მიზნანი	7
1.3. პროგრამის შედეგი	7
1.4. პროგრამის ბიუჯეტი	8
1.5. დაფინანსების წყარო	8
2. პროგრამის აღწერა	8
2.1 ბენეფიციართა შერჩევის წესი	9
სამიზნე ბენეფიციარები	9
დასაშვებობის კრიტერიუმი	9
შესაბამისობის კრიტერიუმები	10
სტატუსის დასადასტურებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია	10
მოწყვლადობის კრიტერიუმი: თანადაფინანსება	12
2.2 საქმიანობის სფერო - ინვესტიციები	12
თანადაფინანსებისთვის მისაღები ინვესტიციის სახეები:	12
ინვესტიციები, რომელიც არ ექვემდებარება თანადაფინანსებას:	13
ინვესტიციასთან დაკავშირებული მოთხოვნები/კრიტერიუმები	13
2.3 გრანტის თანადაფინანსების წესი	15
თანადაფინანსების პრინციპები:	16
2.4 პროგრამის გავრცელების არეალი	17
საგრანტო განაცხადების (შემდგომში - განაცხადი) მიიღება შესაძლებელია შემდეგ ობიექტებში:	17
3. განაცხადების მიღების და შერჩევის პროცედურა	18
3.1 განაცხადების მიღება და რეგისტრაცია	18
3.2 შემოწმება	19

3.3	განხილვა.....	20
3.3.1.	საგრანტო განაცხადის დასაშვებობა	20
	გამარჯვებულად გამოვლენა.....	21
3.3.2	კომისიის გადაწყვეტილების შეტყობინება	22
	თანადაფინანსების შესახებ (საგრანტო) ხელშეკრულება.....	22
	თანადაფინანსება.....	22
4.	მონიტორინგი და შეფასება.....	23
4.4	მონიტორინგი	23
4.5	შეფასება	23

1. პროგრამის დასახელება

მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით (GCP/GEO/007/EC)

1.1. შესავალი

90-იან წლებში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად 260 000-ზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილდა. კონფლიქტის დარეგულირებაში გაწეულ ძალისხმევას ჯერ შედეგი არ გამოუღია პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიმართულებით. მიუხედავად 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების მიზნით გაწეული ძალისხმევისა, ამ დრომდე დევნილთა უმეტესობა არ დაბრუნებულა. იძულებითი გადასახლების პრობლემა უფრო დაამძიმა 2008 წლის აგვისტოს ომმა, რომელსაც გადაადგილების მეორე ტალღა მოჰყვა. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ცხოვრობს საქართველოში. სტატუსის მიღების შემდეგ, დევნილს უფლება აქვს მიიღოს ფინანსური დახმარება, განსახლება და სოციალური დახმარებები. აღნიშნული კანონის მიხედვით, დევნილი მშობლების შვილები, მათ შორის ისინიც, რომელთაც მხოლოდ ერთი დევნილი მშობელი ყავთ, შეუძლიათ მიიღონ დევნილის სტატუსი.

2013 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდომში - სამინისტრო) მიერ ჩატარებული რეგისტრაციის თანახმად, 247 000 დევნილი პირი დაფიქსირდა, რაც დაახლოებით 83 000 ოჯახს წარმოადგეს. 2015 წლის ოქტომბერში დევნილთა რაოდენობამ 267 046 მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ ორი წლის მანძილზე დაახლოებით 20 000 ადამიანი მოემატა. სამინისტროს ცნობით, 232 496 დევნილი 1992-1993 წლებში აფხაზეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მოხვდა დევნილობაში (ძველი ტალღა), ხოლო 35 547 დევნილი - 1989-1991 წლებში სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად (ძველი ტალღა); 26 733 პირი დევნილი გახდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 272,800 დევნილი პირი ფიქსირდება, რაც 88,300 ოჯახს შეადგენს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ დევნილთა ფინანსური დახმარება ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს და დახარჯული თანხა შეიძლება მიმართული ყოფილიყო საჭიროებებზე

დაფუძნებული პრობლემების მოგვარებაზე, დანარჩენი კი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ინვესტიციებზე.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მცდელობისა, რომ მოახდინოს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა (შემდგომში - დევნილთა) საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ბევრი დევნილის მდგრადი ინტეგრაცია ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და ისინი კვლავ დამოკიდებულნი არიან გარე დახმარებაზე. პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი პერსპექტივა უნდა მოიცავდეს საარსებო წყაროების გაუმჯობესების ინიციატივების მხარდაჭერას, რათა დევნილებისთვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ხედვა, მიზნები და ამოცანები დევნილთა საარსებო წყაროების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მოცემულია საქართველოს მთავრობის N257 განკარგულებით დამტკიცებულ “იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის სტრატეგიაში” (შემდგომში „საარსებო წყაროების სტრატეგია“)¹. საარსებო წყაროების სტრატეგია ერთი მხრივ, ეყრდნობა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N 47 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგიას“ (შემდგომში სახელმწიფო სტრატეგია) და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის N2721 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმას. ეს უკანასკნელი მოიცავს სამ ძირითად ამოცანას ა) დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფით; ბ) დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას; გ) დევნილთა ცნობიერების დონის ამაღლებას.

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელსაც ითვალისწინებს სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, გულისხმობს დევნილთა ინტეგრაციას გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფითა და მათ დროებით საცხოვრებელ ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნით. სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის მიხედვით, საარსებო წყაროების პროგრამების განხორციელება წარმოადგენს დევნილთა შორის სიღარიბის დონის შემცირებისა და მათ საცხოვრებელ ადგილებზე მდგრადი ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას და მისი დახმარებით უნდა განხორციელდეს დევნილთა თვითკმარობის უზრუნველყოფა.² საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2016-2017წწ. ითვალისწინებს საარსებო წყაროების

¹ საქართველოს მთავრობის განკარგულება N257, “იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ”, 2014 წლის 13 თებერვალი

² საქართველოს მთავრობის განკარგულება N257, “იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ”, 2014 წლის 13 თებერვალი

გაუმჯობესებისთვის დევნილთა წილობრივი მონაწილეობის კომპონენტის გათვალისწინებით, გრანტების გაცემას.³

„დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება“ (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2015 წლის ივნისი) თანახმად, დევნილი ოჯახის 4-5 წევრის საშუალო თვიური შემოსავალი 453 ლარს შეადგენს, მაშინ როცა არადევნილი მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 887 ლარია.⁴ იგივე კვლევის მიხედვით, დევნილთა 46.3% თვლის, რომ სრული ინტეგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ისინი, პირველ რიგში, უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო წყაროებით. 20.4% პრიორიტეტს ანიჭებს კარგი საცხოვრებელი პირობების მქონე სახლით/ბინით უზრუნველყოფას, 10.7% სამედიცინო მომსახურებას, ხოლო 7.5% უსაფრთხოებას.⁵ იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება, მაგრამ მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი კვლავაც მოწყვლადია. 2013 წლის იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულია შრომითი ასაკის იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთი მესამედი, ხოლო ქალებში ეს მაჩვენებელი 18.5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოში შეიმჩნევა დევნილთა კომპლექსურ საჭიროებებზე (განსახლება, საარსებო წყაროები და სხვა) მორგებული პოლიტიკისა და შესაძლებლობების ნაკლებობა. მიზანმიმართული დახმარების გარეშე დევნილები და განსაკუთრებით მათი მოწყვლადი კატეგორია, ექცევიან სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის ჩაკეტილ წრეში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა განსახლების კუთხით, საარსებო წყაროების შექმნის თვალსაზრისით შესაძლებლობები მწირია და კონცეტრირებულია იმ ადგილებში, სადაც დევნილები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ. განცალკევებით მცხოვრები დევნილები (განსაკუთრებით სოფლად) ვერ სარგებლობენ ამ ინიციატივებით, რადგანაც რთულია მათი ინფორმირება და მხარდაჭერის არსებულ აქტივობებში ჩართვა.

იძულებით გადაადგილებული ქალების, განსაკუთრებით მარტოხელა დედების, პრიორიტეტული პრობლემებია შემოსავლის სიმცირე და უმუშევრობის მაღალი დონე. საოჯახო საქმიანობას და მუშაობას შორის ბალანსის მიღწევა საკმაოდ რთულია, რაც ხშირად განათლების დაბალი დონის, ნაკლები ხელმისაწვდომობისა და გამოცდილების სიმცირის მიზეზია, ეს კი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებსა და დასაქმების პერსპექტივებს

³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N 2721 განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წ.წ. სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების თაობაზე.

⁴ „დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება“ (UNHCR, 2015 წლის ივნისი)

⁵ „დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება“ (UNHCR, 2015 წლის ივნისი)

ზღუდავს.

აღნიშნულის გათვალისწინებით „მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ საგრანტო პროგრამის (შემდომში - პროგრამა) პრიორიტეტია განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის დევნილები და მათთვის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური შესაძლებლობების მდგრადად განვითარების უზრუნველყოფა საარსებო წყაროებზე წვდომით, რაც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას, შემოსავლებისა და თვითდასაქმება/დასაქმების გაზრდას. პროგრამაში ინტეგრირებული იქნება გენდერული პრინციპები მისი განხორციელების ყველა ეტაპზე.

1.2. პროგრამის მიზნანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და მეორე მხრივ, სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველყოფა.

პროგრამის კონკრეტული მიზნებია:

1. დევნილთა ყველაზე მოწყვლადი კატეგორიის ჩართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, მათი შემოსავლის ზრდა, სოციალური მდგომარეობის გაძლიერება გრანტების გაცემის გზით ინვესტიციების მხარდაჭერით;
2. სიღარების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

1.3. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, დევნილთა ყველაზე მოწყვლადი კატეგორიები ჩაერთვებიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, შეიქმნიან/გაიუმჯობესებენ საარსებო მდგომარეობას, გაიზრდება მათი შემოსავალი. მინიმუმ 700 მხარდაჭერილი ყველაზე მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული შინამეურნეობა ერთობლივი ინვესტიციებისგან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განსახლების ადგილებზე მათ მდგრად ინტეგრაციას.

1.4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 810,006 აშშ დოლარს. საიდანაც, 774,336 აშშ დოლარი გამოყოფილია დევნილთა ინვესტიციებისთვის.

1.5. დაფინანსების წყარო

პროგრამა ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით.

2. პროგრამის აღწერა

პროგრამა ითვალისწინებს მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას, ამ კატეგორიაში ერთიანდებიან დევნილი:

1. მარტოხელა მშობელი, რომელიც ზრუნავს არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) შვილ(ებ)ზე; პროგრამის მიზნებისთვის მარტოხელა მშობლად ჩაითვლება პირი, თუ:
 - ა) შვილის დაბადების მოწმობაში მამის ვინაობა არ ფიქსირდება;
 - ბ) ქვრივია (მეუღლის გარდაცვალება დადასტურებული უნდა იყოს გარდაცვალების მოწმობით ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით);
 - გ) განქორწინებულია (დადასტურებული უნდა იყოს განქორწინების მოწმობით ან განქორწინების მოწმობის არ არსებობის შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობით);
 - დ) მეუღლე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, რაც დადასტურებულია შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებით.
2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული) ან პირი, რომლის ოჯახის წევრი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული);
3. 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, რომელიც მართავს ოჯახს - დამოუკიდებლად უვლის არასრულწლოვან დედმამიშვილებს, როცა ა)ორივე მშობელი გარდაცვლილია; ან ბ)ორივე მშობელი მიჩნეულია ქმედუუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად); ან გ) ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილია, ხოლო მეორე- მიჩნეულია ქმედუუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად).
4. ხანდაზმული პირ(ებ)ი (საპენსიო ასაკის), რომელიც მართავს ოჯახს - დამოუკიდებლად ზრდის არასრულწლოვან ობოლ შვილიშვილ(ებ)ს;
5. ჯგუფი (3-5 ოჯახი), სადაც გაერთიანებულია ზემოაღნიშნული პირების უმრავლესობა და ერთი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლები არიან.

შემოთავაზებული საგრანტო განაცხადი ორიენტირებული უნდა იყოს იმ დევნილების საქმიანობაზე, რომლებსაც შეუძლიათ თავისი საარსებო წყაროების განვითარება/გაუმჯობესება და შემოსავლის გაზრდა.

თანადაფინანსება წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც ყველა საგრანტო განაცხადში უნდა იყოს გათვალისწინებული.

თანადაფინანსების მთლიანი მოცულობა შეადგენს 80 პროცენტს, ამავე დროს თანადაფინანსების მოთხოვნილი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს ინდივიდუალური განაცხადებისთვის და 5000 (ხუთი ათასი) ლარს ჯგუფური განაცხადებისთვის.

შესაძლებელია თანადაფინანსების ოდენობა გაიზარდოს 10 000 (ათი ათასი) ლარამდე, თუ ინვესტიციას ექნება ისეთი შედეგი, როგორცაა დასაქმება/თვითდასაქმება ან მაღალი შემოსავლის მიღება. ამ მიმართულების განაცხადები საჭიროებს ექსპერტის მიერ შეფასებას და ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბებას.

სოციალური ინფრასტრუქტურა/სოციალური საწარმოს ინვესტიციის თაობაზე განაცხადები, ისევე, როგორც დამატებითი ღირებულების შემცველი განაცხადები, რომელიც შემოტანილია ჯგუფის მიერ, საჭიროებს ექსპერტის მიერ შემოწმებას და ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბებას.

2.1 ბენეფიციართა შერჩევის წესი

სამიზნე ბენეფიციარები

პროგრამის მიზნებისათვის, განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს დასაშვებობისა და შესაბამისობის კრიტერიუმებს. განიხილება იმ განმცხადებელთა ინიციატივები, რომლებიც შეესაბამებიან ზემოთხსენებულ კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ შეესაბამება დასაშვებობისა და შესაბამისობის ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც, მისი განაცხადი დარჩება განუხილველი, მხოლოდ ამ მიზეზით.

დაშვებული განაცხადების შერჩევა და პრიორიტეტულობა განისაზღვრება მოწყვლადობის კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, პრიორიტეტულ ჯგუფში ხვდება ის ბენეფიციარი, რომელიც აკმაყოფილებს მოწყვლადობის ერთზე მეტ კრიტერიუმს.

დასაშვებობის კრიტერიუმი

განაცხადი რომ ჩაითვალოს დასაშვებად, აუცილებელია განმცხადებელი იყოს დევნილის აქტიური სტატუსის მქონე და იყოს რეგისტრირებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში.

შესაბამისობის კრიტერიუმები

დასაშვებობის კრიტერიუმებითან შესაბამისობის შემთხვევაში, განმცხადებელი ფასდება შესაბამისობის კრიტერიუმებით. განმცხადებელი უნდა იყოს საარსებო შემწეობის ან დევნილთა შემწეობის მიმღები და ამასთანავე, უნდა შეესაბამებოდეს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას:

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი მარტოხელა მშობელი არასრულწლოვანი შვილით;
2. ოჯახი, რომლის წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა;
3. ახალგაზრდ(ებ)ის მიერ მართული ოჯახი;
4. ხანდაზმულ(ებ)ის მიერ მართული ოჯახი.

სტატუსის დასადასტურებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

წინამდებარე თავში მოცემულია იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რაც განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სტატუსის დასადასტურებლად.

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი მარტოხელა მშობელი არასრულწლოვანი შვილით

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი მარტოხელა მშობელი, ჩაითვლება ასეთად, როცა იგი მარტო ზრუნავს თავის არასრულწლოვან შვილზე ან შვილებზე და:

- 1.1 ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობაში მამის გვარი არ არის მითითებული;
- 1.2 განქორწინებულია, რაც დადასტურებულია განქორწინების მოწმობით;
- 1.3 მიტოვებულია, რაც დადასტურებულია შესაბამისი ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან გაცემული ცნობით;
- 1.4 ქვრივია, რაც დადასტურებულია მეუღლის გარდაცვალების მოწმობით;
- 1.5 მეუღლე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, რაც დადასტურებულია შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებით.

2. ოჯახი, რომლის წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ოჯახი, რომლის წევრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონეა, ჩაითვლება ასეთად, თუ:

2.1 შეზღუდვის ფაქტი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვის მატარებელი არასრულწლოვანია წარმოდგენილი უნდა იყოს სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N100)⁶

2.2 შეზღუდვა უნდა იყოს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული.

3. ახალგაზრდ(ებ)ის მიერ მართული ოჯახი

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდების მიერ მართული ოჯახი განიხილება ასეთად, როცა:

3.1 პირი, რომელიც მართავს ოჯახს არის 25 წლამდე ასაკის და ზრუნავს თავის ობოლ დედმამიშვილებზე. სტატუსის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს, ორივე მშობლის გარდაცვალების მოწმობა;

3.2 პირი, რომელიც მართავს ოჯახს არის 25 წლამდე ასაკის და ზრუნავს თავის დედმამიშვილებზე, რადგან მისი ორივე მშობელი მიჩნეულია ქმედუუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად). სტატუსის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები ან სამედიცინო დოკუმენტი ცნობა N100, სადაც აშკარა მითითებაა გაკეთებული პირის ქმედუუნარობასთან დაკავშირებით.

3.3 პირი, რომელიც მართავს ოჯახს არის 25 წლამდე ასაკის და ზრუნავს თავის დედმამიშვილებზე, რადგან მისი ერთ-ერთი მშობელი ქმედუუნაროა (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად) (ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს 3.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტით) და მეორე გარდაცვლილია (გარდაცვალების მოწმობა უნდა იქნეს წარმოდგენილი).

4. ხანდაზმულების მიერ მართული ოჯახი

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ხანდაზმულების მიერ მართული ოჯახი განიხილება ასეთად, როდესაც განმცხადებელი არის პენსიონერი და ზრუნავს თავის ობოლ შვილიშვილებზე ან შვილიშვილებზე, რომლის მეურვეც არის განმცხადებელმა სტატუსის დასადასტურებლად განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1 ორივე შვილის გარდაცვალების მოწმობა;

4.2 თუ ორივე შვილი მიჩნეულია ქმედუუნაროდ (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად), შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილება;

4.3 თუ ერთ-ერთი შვილი ქმედუუნაროა (ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად) (ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს 3.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტით) და მეორე გარდაცვლილია (გარდაცვალების მოწმობა უნდა იქნეს წარმოდგენილი).

⁶ წარმოდგენილი ფორმა N100 შეფასდება ექსპერტის მიერ და მისი დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება შეზღუდვის კატეგორია.

მოწყვლადობის კრიტერიუმი: თანადაფინანსება

საგრანტო კომისია პრიორიტეტს მიანიჭებს უკიდურესად მოწყვლად განმცხადებლებს. პრიორიტეტის მინიჭება განხორციელდება შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

1. განმცხადებელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სოციალური ქულა. შესაბამისი მაჩვენებელი ჩაშლილია სამ ჯგუფად:

პრიორიტეტულობა	I	II	III
სოციალური ქულა	<57 001	57 001-100 001	>100 001

2. 18 წლამდე ასაკის შვილების რაოდენობა ოჯახში (უფრო მეტი შვილის მყოფ ოჯახებს მიერნიჭებათ პრიორიტეტი თითოეულ ჯგუფში)
3. ოჯახის მმართველის სქესი (სოციალური ქულის მიხედვით, პირველ ჯგუფში მოხვედრილ განმცხადებლებს შორის უპირატესობა მიენიჭებათ ქალების მიერ მართულ ოჯახებს).

2.2 საქმიანობის სფერო - ინვესტიციები

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის;
- სურსათის წარმოებისთვის;
- სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის გაუმჯობესებისთვის;
- სოციალური ინფრასტრუქტურა/სოციალური საწარმოს ინვესტიცია;
- სოფლად ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის მოწყობილობებისა და სამშენებლო მასალების შეძენა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემოსავლის მომტანი და დასაქმების ხელშემწყობი საქმიანობა.

თანადაფინანსებისთვის მისაღები ინვესტიციის სახეები:

1. მარცვლეულის მრავალწლიანი კულტურის მოყვანა (მრავალწლიანი ჯიშები) ვენახისა და ხეხილის გაშენება, იმ მოცულობით, რაც შეესაბამება ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს;
2. შინაური ცხოველების შეძენა, მათი დაბინავებისა და შესაბამისი პირობების შესაქმნელად საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის შეძენა;
3. სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენა (კულტივატორები, ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი და მოსავლის ასაღები აღჭურვილობა და მექანიზმები), ტრაქტორების შეძენა;

4. მასალისა და აღჭურვილობის შექმნა მეურნეობის მოწყობისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშავებისთვის. პლასტიკური და მინის სათბურის მოსაწყობად საჭირო საშენი მასალების შექმნა;
5. ფუტკრის მოშენებისთვის განკუთვნილი ჩარჩოების, სკების, თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების საწარმოებლად საჭირო აღჭურვილობის შექმნა;
6. სოფლად ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის მოწყობილობებისა და სამშენებლო მასალების შექმნა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც შემოსავლის მომტანი და დასაქმების ხელშემწყობი საქმიანობა;
7. სოციალური ინფრასტრუქტურა/სოციალური საწარმოების ინვესტიციები (მაგალითად, საბავშვო ბაღები, დღის ცენტრები).

ინვესტიციები, რომელიც არ ექვემდებარება თანადაფინანსებას:

1. ერთჯერადი დამხმარე მასალების (თესლი, სასუქი, მცენარეთა დამცავი საშუალებები, მედიკამენტები, საქონლის მედიკამენტები, საწვავი) შექმნა;
2. თანადაფინანსების, როგორც კაპიტალის გამოყენება;
3. მიწის ნაკვეთის შექმნა;
4. იჯარის/ქირის გადასახადის თაფინანსება;
5. მუშახელის ანაზღაურება;
6. ნაწილობრივი ინვესტიციები, როგორცაა მშენებლობისთვის საჭირო ინვენტარი;
7. დევნილთა დასახლების შიდა (სამეზობლო) შემოთავაზებები და დევნილის სტატუსის მქონე პირთაგან მოწოდებული საქონლის/აღჭურვილობის შექმნა.
8. დაზღვევა და სოციალური ხარჯები;
9. გადასახადები;
10. სხვა, რომელიც ცდება პროგრამის მიზანს.

ინვესტიციასთან დაკავშირებული მოთხოვნები/კრიტერიუმები

პროგრამის მიზნებისათვის დადგინდა დამატებითი წესები ინვესტიციის ტიპიდან გამომდინარე. წესები დაკავშირებულია ინვესტიციის სახესთან და გამოყენებასთან და მიზნად ისახავს პირველ რიგში, ინვესტიციის შესაბამისი გამოყენების უზრუნველყოფასა და არაპროდუქტიული ან მაღალი რისკის მატარებელი ინვესტიციების გაცემის თავიდან აცილებას.

დამატებითი წესები მოცემულია ქვემოთ.

მეცხოველეობა:

- პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთი დიდი ღირებულების პირუტყვის შექმნა პირმშოსთან ერთად. მაგალითად, ძროხის შესყიდვა ხბოსთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ რძით იკვებება. თუმცა, ძროხისა და დეკეულის შექმნა ერთად არ არის მისაღები.

- რეპროდუციული უნარის არმქონე და მამალი პირუტყვი (გარდა გამწევი პირუტყვისა) და პროგრამის მსვლელობისას დაკვლისათვის განკუთვნილი პირუტყვი წარმოადგენს მიუღებელ ინვესტიციას.
- ფუტკრის ოჯახების შექმნის მსურველმა განმცხადებელმა ამ მიმართულებით საკუთარი ცოდნა და გამოცდილება უნდა დაადასტუროს წერილობითი ტესტის შევსებით, რომელიც ინახება მის განაცხადთან ერთად.
- ფუტკრის ოჯახების აღჭურვილობის შექმნის მსურველ განმცხადებელს უნდა ჰყავდეს ფუტკრის ოჯახ(ებ)ი.
- მეცხოველეობის მიმართულებით ინიციატივის წარმდგენ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს საკმარისი ზომის სადგომი. საკმარისად ჩაითვლება ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე 6კვ.მ ზომის სადგომი, 2 კვ. მ. სადგომი ღორისა და გოჭის შემთხვევაში და 0.5 კვ.მ ფრინველისათვის.

მშენებლობა:

- შენობა-ნაგებობა უნდა ესადაგებოდეს განმცხადებლის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შემოსავლის გენერირების მიზნებს. თუ განმცხადებელი ვერ ადასტურებს მოთხოვნილი მშენებლობის მასშტაბის წარმოებასთან შესაბამისობას, შენობა-ნაგებობის ზომა შესაბამისად შემცირდება.
- ხეივნის გაშენების თაობაზე შემოსულ განაცხადს, თან უნდა ახლდეს ხეივნის ნახაზი.
- ხეივნისა და ბაღჩისათვის დამხმარე სტრუქტურების მშენებლობის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩაყრილი უნდა იყოს ვაზის ან ხეხილის ნერგები.
- შემოღობვა მისაღებია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის და მინიმალური ხარჯით. განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს მიწის საკუთრების ფაქტი, როცა სასოფლო-სამეურნეო მიწის შემოღობვას უკავშირდება ინიციატივა. შემოღობვა ხორციელდება მხოლოდ მავრთულით.

მექანიზაცია:

- მექანიზაციის საშუალებების მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს მიწის ქონისა და გამოყენების ფაქტი. ისევე, როგორც მექანიზაციის საშუალების საჭიროება. მაგალითისათვის, კულტივატორის საჭიროება არ იკვეთება ხორბლის გაშენების შემთხვევაში. მიწის მოხმარების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით. პროგრამის მიზნებისათვის, ასეთ დოკუმენტად ჩაითვლება განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გაცემული განაცხადის წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა, მასზედ რომ განმცხადებელი ნამდვილად ამუშავებს მითითებულ მიწას ან ორ ფიზიკურ პირს შორის გაფორმებული, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება მიწის მოხმარების თაობაზე, რომელიც დაადასტურებს განმცხადებლის მიწის ნაკვეთის მფლობელობას განაცხადის განხილვის დროისთვის.

ჩამოთვლილი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, დასტურად ჩაითვლება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული დასტურის წერილი.

- მექანიზაციის საშუალებების შესყიდვის მსურველმა განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ისინი ამუშავებენ მიწას.

სოციალური ინფრასტრუქტურა/სოციალური საწარმოს ინვესტიცია:

- უნდა ემსახუროდეს ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურისა და სოციალური საწარმოს განვითარებას (საბავშვო ბაღები, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მზრუნველობის ცენტრები და ა.შ.)
- უნდა აჩვენებდეს მუნიციპალიტეტის მონაწილეობას (შესაძლოა მონაწილეობა იყოს ფულადი ან ნატურით). პროექტის მიზნებისათვის, ნატურით მონაწილეობად მიიჩნევა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობის დათმობა პროექტისათვის, თანამშრომელთა გამოყოფა პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და ა.შ. მუნიციპალიტეტის მონაწილეობა უნდა დადასტურდეს წერილობით.
- სოციალური ინვესტიციების მიმართულებით განაცხადის შემომტან ჯგუფებს ან მის წევრებს უფლება აქვთ განაცხადი გააკეთონ პროგრამის სხვა მიმართულებებზეც. ამ შემთხვევაში, სოციალური ინვესტიციის ოდენობა არ ჩაითვლება ინდივიდუალური განაცხადისათვის დაწესებული ზღვრის (2500 ლარი) ოდენობაში.

თანადაფინანსების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნება განმცხადებელს მიღებული აქვს თუ არა მხარდაჭერა FAO-ს, სააგენტოს და/ან სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტებიდან, გათვალისწინებული იქნება განმცხადებლის გამოცდილება.

2.3 გრანტის თანადაფინანსების წესი

პროგრამის მიზნებისათვის, ბენეფიციარის მხრიდან წილობრივი მონაწილეობა წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას. ამასთანავე, თანამონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა იყოს განსხვავებული მოწყვლადობის დონიდან გამომდინარე. განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობის მაქსიმალური ზღვარია ინიციატივის ჯამური ღირებულების 50%. მინიმალური ზღვარი კი შეადგენს ინიციატივის ჯამური ღირებულების 20%, არაუმეტეს 2 500 ლარისა.

პროგრამის მიზნებისათვის, შემუშავდა თანადაფინანსების წილის გამოსათვლელად სახელმძღვანელო სქემა, რომლის მიხედვითაც:

ბენეფიციარისგან

20%

30%

50%

მოთხოვნილი

თანადაფინანსების წილი

შენიშვნა: ჯგუფური განაცხადის შემთხვევაში პრიორიტეტულობა განისაზღვრება ყველაზე დაბალი სოციალური ქულის მქონე ჯგუფის წევრის მონაცემებით. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, არ არის სავალდებულო, რომ აღნიშნული წევრი იყოს ჯგუფის ლიდერი.

ყველა ზემოთჩამოთვლილი კრიტერიუმი იმავე პრინციპითა და ძალით ვრცელდება ჯგუფურ განაცხადებზე.

თანადაფინანსების პრინციპები:

- მხარდაჭერა განხორციელდება საგრანტო განაცხადისა და ხელმოწერილი თანადაფინანსების (საგრანტო ხელშეკრულების) საფუძველზე;
- განმცხადებელი მთლიანად პასუხისმგებელია დამტკიცებული თანადაფინანსების ათვისებაზე;
- ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით - შესაძენი ნივთის დადასტურებული ფასის 50 პროცენტიდან - 80 პროცენტამდე თანადაფინანსებით;
- თანადაფინანსება განხორციელდება პროდუქციის მომწოდებლისათვის თანხის გადახდის ფორმით, მხოლოდ განმცხადებლის მიერ თანამონაწილეობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკუთრების უფლების გადაცემის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ;
- ინვესტიცია უნდა ფინანსდებოდეს ერთი წყაროდან, რათა თავიდან იყოს აცილებულ ინვესტიციის განმეორებითი დაფინანსება სხვა საგრანტო პროგრამის მიერ;
- თვალსაჩინოება- განმცხადებელი ვალდებულია 4 წლის მანძილზე ჰქონდეს ეტიკეტი თანადაფინანსებით მიღებულ საქონელზე/აღჭურვილობაზე, რომელიც მიუთითებს, რომ საქონელი/აღჭურვილობა შეძენილია თანადაფინანსებით ამ პროგრამის ფარგლებში;
- მაქსიმალური თანადაფინანსება - განმცხადებელს (ერთ ოჯახს) შეუძლია მიიღოს 2 500 ლარის ოდენობით მხარდაჭერა პროგრამის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენჯერ მიიღებს მონაწილეობას პროგრამაში. მთავარია, სხვა განაცხადებში (ინდივიდუალური და ჯგუფური) მიღებული თანადაფინანსების თანხები ჯამურად არ აღემატებოდეს 2 500 ლარს (ინდივიდუალური და ჯგუფური).

2.4 პროგრამის გავრცელების არეალი

საგრანტო პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოწყვლადი კატეგორიის დევილებზე.

საგრანტო განაცხადების (შემდგომში - განაცხადი) მიიღება შესაძლებელია შემდეგ ობიექტებში:

1. სააგენტოში;
2. სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში;
 - ა) ქ.გორი;
 - ბ) ქ.ქუთაისი;
 - დ) ქ.ზუგდიდი.
3. იუსტიციის სახლებში:
 - ა) გურჯაანის იუსტიციის სახლი;
 - ბ) ბათუმის იუსტიციის სახლი;
 - გ) ფოთის იუსტიციის სახლი;
 - დ) რუსთავის იუსტიციის სახლი;
 - ე) ზუგდიდის იუსტიციის სახლი;
 - ვ) ქუთაისის იუსტიციის სახლი;
 - ზ) მარნეულის იუსტიციის სახლი;
 - თ) თიანეთის იუსტიციის სახლი;
 - ი) თელავის იუსტიციის სახლი;
 - კ) ყვარლის იუსტიციის სახლი;
 - ლ) მესტიის იუსტიციის სახლი.
4. საზოგადოებრივ ცენტრებში:
 - ა) კაზრეთი – ბოლნისის მუნიციპალიტეტი;
 - ბ) სართიჭალა – გარდაბნის მუნიციპალიტეტი ;
 - გ) მარტყოფი - გარდაბნის მუნიციპალიტეტი;
 - დ) ორსანტია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
 - ე) რუხი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
 - ვ) სადახლო - მარნეულის მუნიციპალიტეტი;
 - ზ) დიდი ჯიხაიში - სამტრედიის მუნიციპალიტეტი;
 - თ) რუისი - ქარელის მუნიციპალიტეტი;
 - ი) ჩაქვი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი;
 - კ) ჯვარი - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი;
 - ლ) გეგუთი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;
 - მ) გომი - ხაშურის მუნიციპალიტეტი;
 - ნ) ჭალადიდი - ხობის მუნიციპალიტეტი.
 - ო) მუხასტატე - ქობულეთის მუნიციპალიტეტი;

- პ) მეჯვრისხევი - გორის მუნიციპალიტეტი;
- ჟ) კოდა - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.

საგრანტო განაცხადი შევსებული უნდა იყოს დადგენილი ფორმის შესაბამისად და თან ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტი. საჭირო დოკუმენტთა ჩამონათვალი სხვადასხვაა და დამოკიდებულია ბენეფიციარის სამიზნე კატეგორიასთან შესაბამისობასა და დასაფინანსებელი ინვესტიციის არსზე.

3. განაცხადების მიღების და შერჩევის პროცედურა

3.1 განაცხადების მიღება და რეგისტრაცია

განაცხადების მიღების ვადები:

თვე/წელი	კონკურსი	განხილვა
25-31 ოქტომბერი/2016 წელი	X	
1 - 30 ნოემბერი/2016 წელი		X
1-30 ნოემბერი/2016 წელი	X	
1-31 დეკემბერი/2016 წელი		X
1-30 იანვარი/2017 წელი	X	
1-28 თებერვალი/2017 წელი		X
1-31 მარტი/2017 წელი	X	
1-30 აპრილი/2017 წელი		X

- შევსებული განაცხადების მიღება ხორციელდება სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ან სააგენტოში.
- მიღების დროს თითოეულ განაცხადს (მასზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) მიენიჭება უნიკალური განაცხადის საიდენტიფიკაციო (ID) ნომერი.
- განაცხადები პროგრამის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდება მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის გამოყენებით.
- ყველა განაცხადის გადამოწმება მოხდება შერჩევის კრიტერიუმებისა და სისრულის თვალსაზრისით დევნილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და სააგენტოს მიერ, განაცხადის საკონტროლო სიის (checklist) შესაბამისად. თუ რომელიმე განაცხადს დოკუმენტი აკლია, განმცხადებელს ეცნობება ამის შესახებ და მიეცემა ერთი კვირის ვადა აღნიშნული დოკუმენტის ელექტრონულად ან ფიზიკურად მოწოდებისთვის.
- განაცხადის მიღებისას და შეგროვებისას, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ან სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზაში ამოწმებს განმცხადებლის სტატუსს დევნილის შესახებ და აღნიშნულის თაობაზე, აკეთებს შესაბამის მითითებას.
- მიღებულ და შეგროვებულ განაცხადებს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები აწვდიან სააგენტოს.

- სააგენტოს მიერ მიღებული და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ გამოგზავნილი განაცხადები რეგისტრირდება განაცხადების მონაცემთა ბაზაში სააგენტოს მიერ.

3.2 შემოწმება

სააგენტოში მიღებულ და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ გადმოგზავნილი განაცხადებში მითითებულ ინფორმაციას ამოწმებენ სააგენტოს საველე ოფიცრები დამოუკიდებლად ან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად. საველეს ოფიცრები ახორციელებენ ბენეფიციარის, მომწოდებლისა და ინვესტიციის ადგილის შემოწმებას, მათ შორის მოწმდება:

- განაცხადში მითითებული ინფორმაცია, მათ შორის განმცხადებლის მიერ შერჩეული მომწოდებლის იდენტიფიკაციის ჩათვლით;
- შეთავაზებული ინვესტიციის განხორციელებადობა;
- ფაქტი, რომ ინვესტირება არ არის დაწყებული ან დასრულებული;
- შეთავაზებული მოწყობილობის რეალური საბაზრო ღირებულება და ხარისხი;

ინვესტიციის ღირებულება, მისი ხარისხისა და ტიპის გათვალისწინებით, შეფასებული იქნება შესაბამისი საქონლის ადგილობრივ საბაზრო ფასებთან, სააგენტოს მიერ განხორციელებული საბაზრო კვლევების გათვალისწინებით.

საველე ოფიცრს უფლება აქვს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის რეკომენდაციის და/ან ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, შეამციროს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, თუ იგი არარეალურია ან ინვესტიციის მოცულობა მცირდება. ბიუჯეტის შემცირება შესაძლებელია დევნილი განმცხადებლის თანხმობის გარეშე. კომისია განაცხადს განიხილავს შემცირებული ბიუჯეტის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ თანხმობა განაცხადა ასეთი განმცხადებლის დაფინანსებაზე ბენეფიციართან გასაფორმებელი ხელშეკრულება დგება შემცირებული ბიუჯეტის მიხედვით. დევნილს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, მოაწეროს ან არ მოაწეროს ხელი შემცირებული ბიუჯეტის საფუძველზე შედგენილ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ დევნილი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, მისი განაცხადი უქმდება და მას არ წარმოეშობა შემდგომი გასაჩივრების უფლება.

საველე ოფიცერი ამოწმებს განმცხადებლის მიერ განაცხადთან ერთად წარმოდგენილ ინვოისს. ინვოისს, თუ მასზე სხვა რამ არ არის დაფიქსირებული, საველე ოფიცრის მიერ შემოწმების შემდეგ ძალაშია 50 კალენდარული დღე.

საველე ოფიცრები აკეთებენ ბაზრის კვლევას 3 თვეში ერთხელ. კვლევის შედეგად გამოვლენილ ფასები არის სახელმძღვანელო ინვესტიციისათვის საჭირო მასალის ფასების შემოწმების დროს.

საველეს ოფიცრები შემოწმების შემდეგ, ადგენენ შესაბამის აქტს, რომელიც წარედგინება საგრანტო კომისიას.

3.3 განხილვა

საგრანტო განაცხადებს აფასებს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შექმნილი საგრანტო კომისია (განაცხადების განმხილველი კომისია) (შემდგომში - კომისია), რომელიც შედგება, სააგენტოს, სამინისტროს, გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტო გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებათა და შესაძლებლობათა გაზრდის საკითხებში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია) და ფონდი ტასოს წარმომადგენლებისაგან.

წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება საკვალიფიკაციო და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კომისია განიხილავს წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს, საველეს ოფიცრების მიერ შემოწმების შედეგად, შედგენილ აქტთან ერთად.

3.3.1. საგრანტო განაცხადის დასაშვებობა

განაცხადების მიღებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შემოწმებას. შემოწმების მიზანია წარმოდგენილი განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. განმცხადებელი უნდა მიეკუთვნებოდეს მოწყვლად დევნილთა კატეგორიას. კერძოდ; უნდა იყოს სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, ჰქონდეს დევნილის აქტიური სტატუსი და:
 - ა) წარმოდგენდეს მარტოხელა მშობელს, რომელიც უვლის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს;
 - ბ) თავად იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (პირველი და მეორე ჯგუფი) პირი ან წარმოდგენდეს იმ ოჯახის წევრს, სადაც ერთ-ერთი ოჯახის წევრი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (პირველი და მეორე ჯგუფი) პირი;
 - გ) წარმოდგენდეს 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდას, რომელიც მართავს ოჯახს;
 - დ) წარმოდგენდეს ხანდაზმულს (პენსიონერი), რომელიც მართავს ოჯახს;
 - ე) წარმოდგენდეს ჯგუფს (3-5 ოჯახი), სადაც გაერთიანებულია ზემოაღნიშნული პირების უმრავლესობა.
2. საგრანტო განაცხადის ფორმა შევსებულია სრულყოფილად და თან ერთვის საჭირო დოკუმენტაცია:
 - ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა/პასპორტი) ასლი;

- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში);
 - გ) მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი ცნობა (საჭიროების შემთხვევაში);
 - დ) მშობლების გარდაცვალების მოწმობა, თუ განმცხადებელი მხარდაჭერის მიღებას ითხოვს, როგორც 25 წლამდე ახალგაზრდის მართული ოჯახი;
 - ე) შვილიშვილ(ებ)ის მშობლების გარდაცვალების მოწმობა, თუ განმცხადებელი მხარდაჭერის მიღებას ითხოვს, როგორც ხანდაზმულის მიერ მართული ოჯახი;
 - ვ) საგრანტო განაცხადში ჩამოთვლილი საქონლის ან მომსახურების მომწოდებლის შემოთავაზება ან ინვოისი;
 - ზ) მომწოდებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი ფიზიკური პირი ან ინდ.მეწარმეა - პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი და იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი იურიდიული პირია - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან);
 - თ) მიწის ნაკვეთის საკუთრების, ფლობის, გამოყენების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (მებალეობისა და სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ინვენტარის შემთხვევაში);
 - ი) საქონლის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება, რომ საქონელი კლინიკურად ჯანმრთელია და ცნობა საქონლის ბრუცელიოზზე გამოკვლევის შესახებ (მეცხოველეობის შემთხვევაში).
3. საგრანტო განაცხადი მიღებულია მიღებისთვის დადგენილ ვადაში;
 4. ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა არ სცდება განსაზღვრულ ზღვარს;

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შერჩევას პრიორიტეტულობის- მოწყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ მათ დეტალურ შეფასებას და შემოწმებას.

კომისია უფლებამოსილია განაცხადის განხილვისა და საველეს ოფიცრის მიერ შედგენილი დასკვნის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებული თანხა არ შეესაბამება რეალობას, თუმცა, სხვა მხრივ, განმცხადებელი აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმებს, მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის შემცირებული ოდენობით დაკმაყოფილების თაობაზე.

გამარჯვებულად გამოვლენა

ბენეფიციართა გამარჯვებულად გამოვლენა ხდება კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში შედიან პროგრამის განმახორციელებელი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიის სხდომაზე საველე ოფიცრები წარადგენენ ბენეფიციართა ინიციატივებს. ამასთანავე, თითოეულ ინიციატივაზე საველე ოფიცრს გაკეთებული უნდა ჰქონდეს დასკვნა, რომელიც ასახავს ბენეფიციარის კრიტერიუმებთან და საპროგრამო ინიციატივისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან განაცხადის შესაბამისობას.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტი ხმა აქვს კომისიის თავმჯდომარის ხმას.

3.3.2 კომისიის გადაწყვეტილების შეტყობინება

საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განუხილველად დატოვების და განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, განმცხადებელს ეცნობება სააგენტოს მიერ წერილობით.

თუკი განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მიღებული გადაწყვეტილება უსამართლოა უფლება აქვს იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საგრანტო კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

თანადაფინანსების შესახებ (საგრანტო) ხელშეკრულება

კომისიის მიერ განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, ფორმდება ხელშეკრულება თანადაფინანსების შესახებ (საგრანტო ხელშეკრულება), რომელსაც ხელს აწერს სააგენტო, გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და გამარჯვებული დევნილი.

ხელშეკრულებაზე ყველა მხარის ხელმოწერის შემდეგ, განმცხადებელს უფლება აქვს დაიწყოს ინვესტიციის განხორციელება.

თანადაფინანსება

თანადაფინანსება სააგენტოს მხრიდან განხორციელდება მომწოდებლის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშის ნომერზე თანადაფინანსების თანხის დარიცხვის გზით, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი განახორციელებს თავისი წილის გადახდას და სააგენტოს წარუდგენს მისი წილის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და მომწოდებლისგან შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტს.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ, საკუთარი წილის დაფინანსებისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები განისაზღვრება თანადაფინანსების შესახებ (საგრანტო) ხელშეკრულებით.

4. მონიტორინგი და შეფასება

4.4 მონიტორინგი

სააგენტო განახორციელებს პროგრამის რეგულარულ მონიტორინგს.

განმცხადებლების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ექვემდებარება ადგილზე შემოწმებას, რომელიც განხორციელდება სააგენტოს მიერ დამოუკიდებლად ან გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად. ადგილზე შემოწმების შესახებ, შემოწმების განმახორციელებელი პირი ადგენს საველე ანგარიშს.

4.5 შეფასება

სააგენტო განახორციელებს ინვესტიციების შეფასებას, პროგრამის დასრულების შემდეგ.